ფრიდრ
6884
F76 №370

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 22 აგვისტო, 1941 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 34 (193) ფასი 30 კაპ.

## წინ, ჩვენი გამარჯვებისათვის!

დღეს უკვე ორი თვე შესრულდა, რაც ყინულოვან ოკეანედან შავ ზღვამდე გადაჭიმულ უზარმაზარ ფრონტზე ჩვენი მშობლიური წითელი არმია ფაშისტურ ურდოებთან გმირულ სამამულო ომს აწარმოებს.

ვერაგმა მტერმა, რომელიც ჩვენს მშვიდობიან ქვეყანას მუხანათურად დაესხა თავს, მოახდინა მთელი თავისი შესაძლებლობის მობილიზაცია, რომ ორ-სამ კვირაში მოედრიკა საბჭოთა ხალხის წინააღმდეგობა. მაგრამ პირსისხლიანი მტარვალი სასტიკად შესცდა თავის ბნელ ანგარიშში. ჩვენი ტერიტორიის ნაწილის დაკავება ფაშისტ ბარბაროსებს ძალიან ძვირად დაუჯდათ: საბჭოთა ველებზე სამარე გაეთხარათ მტრის უძლიერეს და საუკეთესოდ შეიარაღებულ დივიზიებს, საბჭოთა მიწა-წყალზე ლითონის ნამსხვრევების გროვად იქცა მტრის ფოლადის საჭურველი — ტანკები, თვითმფრინავები, ქვემეხები. მიაცრისა რა მილიონ ნახევარი ჯარისკაცის სიცოცხლე და შეალეწა რა თავისი სამარი საჭურველი ჩვენი ქვეყნის ციხე-სიმაგრეს, გაცოფებულმა ფაშიზმმა ვერა თუ ვერ მოთრგუნა, პირიქით, გაასალკლდევა საბჭოთა ხალხის საბრძოლო ნებისყოფა, გააძლიერა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთსულოვნება, განამტკიცა საბჭოთა ხალხის ურყევი გადაწყვეტილება — იბრძოლოს მანამდე, ვიდრე საბოლოოდ გაცამტვერებული არ იქნება კაცობრიობის უბოროტესი მტერი, უსაზიზღრესი მიხაკისფერი ჭირი.

ფაშისტური ურდოების მხეცურ თარეშს დაკავებულ ტერიტორიაზე, ჯალათური ფაშისტური ჯარის მიერ უმწეო მოხუცების, ქალებისა და ბავშვების რბევასა და ხოცვა-ჟლეტას გმირმა საბჭოთა ხალხმა უპასუხა უსასტიკესი პარტიზანული ომით.

პარტიზანული ომის ხანძარი, რომელიც საბჭოთა ხალხმა მტრის ზურგში გააჩაღა, გასცილდა საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს და ფაშიზმის მიერ დაპყრობილ ქვეყნებს მოედვა. ფაშიზმის გასანადგურებლად ამოძრავდნენ ჰიტლერის ქუსლქვეშ მგმინავი, გაწამებული სლავი ხალხები. რუსი საბჭოთა მწერალი ალექსი ტოლსტოი მოსკოვში გამართულ სრულიად სლავურ მიტინგზე ამბობდა: „არა, არ ჩამქრალან ვარშავასა, ბელგრადსა, ჩაჩაკსა, იაგოდინსა და ბანაში დანთებული ხანძრის ნაკვერცხლები. ამ ნაკვერცხლებს კოცონად ავივებს წმინდა სიძულვილი იმისათვის, რომ დაიწვას, დაიფერფლოს და ქარად იქცეს გერმანული ფაშიზმის ბარბაროსული სისხლიანი ოცნება სლავური სამყაროს დამონების და განადგურების შესახებ. სლავებო, ჩვენ ვერთიანდებით ბრძოლისა და გამარჯვებისათვის“.

საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ მზაკვრულ-ქურდული გამოლაშქრების საპასუხოდ ფაშისტ ყაჩაღების ხროვამ მიიღო არა მარტო სლავი ხალხების, არამედ მთელი მოწინავე კაცობრიობის გაერთიანებული ფრონტი მიხაკისფერი ჭირის მოსასპობად. საბჭოთა ხალხს თავის წმინდა სამამულო ომში მტკიცე, საიმედო მოკავშირედ ჰყავს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი, რომელიც მზად არის სისხლი დაღვაროს სოციალიზმის ქვეყნის დასაცავად. ფაშიზმის მოსასპობად დაწყებულ ომში საბჭოთა ხალხთან არის ორი ბუმბერაზი დემოკრატიული სახელმწიფო — დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. ინგლისის მთავრობის მეთაურის ჩერჩილის და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რუზველტის პირადი მიმართვა ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი** და მათ მიმართვაში გათვალისწინებული ღონისძიებები უკვე დასაწყისია სამი უძლიერესი სახელმწიფოს იმ ძლევამოსილი თანამშრომლობისა, რომელიც მტვრად აქცევს ჰიტლერის სისხლიან ტირანიას და ველურ ფაშისტურ ძალმომრეობისაგან გაანთავისუფლებს მთელს კაცობრიობას.

ფაშისტურ ურდოებთან წითელი არმიის სახელოვან, თავგანწირულ ბრძოლებში, მტრის ზურგში დანთებულ პარტიზანულ ომში, ერთ უზარმაზარ სამხედრო ბანაკად ქცეულ საბჭოთა ქვეყნის სახალხო ლაშქრობაში, მთელი საბჭოთა ხალხის გმირულ გაასკეცებულ შრომაში, ფაშიზმის წინააღმდეგ დაძრულ სლავი ხალხების აჯანყებაში და სამი გოლიათი სახელმწიფოს სამხედრო თანამშრომლობაში იჭედება ჩვენი სამშობლოს და მთელი მოწინავე კაცობრიობის გამარჯვება სისხლიან ფაშიზმზე.

ეხლა, წმინდა სამამულო ომის მესამე თვეზე, საბჭოთა ხალხის საბრძოლო ნებისყოფა კიდევ უფრო მტკიცეა და რწმენა ფაშიზმზე გამარჯვებისა კიდევ უფრო შეურყეველი.

მურმანსკიდან თბილისამდე, ლვოვიდან ვლადივოსტოკამდე მტრისათვის თავზარდამცემ რისხვად გაისმის ორასმილიონიანი საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი ყიჟინა:

„წინ, ჩვენი გამარჯვებისათვის!“

## სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ლ. შტეინჰარდტი და ინგლისის ელჩი ბ-ნი ს. კრიპსი

15 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა ლ. შტეინჰარდტმა და ინგლისის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა ს. კრიპსმა ერთად ინახულეს ამხ. სტალინი და გადასცეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბ-ნ რუზველტის და ინგლისის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ჩერჩილის მიმართვა:

### „პირადი მიმართვა ბ-ნი ჩერჩილისაგან და პრეზიდენტ რუზველტისაგან ბ-ნ სტალინს

ჩვენ ვისარგებლეთ შემთხვევით, რომელიც მოგვეცა ბ-ნ ჰარი ჰოპკინსის ანგარიშის განხილვისას მოსკოვიდან მისი დაბრუნების შემდეგ, რათა ერთად განგვეხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია ჩვენს ორ ქვეყანას უფრო უკეთ დაეხმაროს თქვენს ქვეყანას იმ საუცხოო წინააღმდეგობაში, რომელსაც თქვენ ფაშისტურ თავდასხმას უწევთ. ამჟამად ჩვენ ვთანამშრომლობთ იმისათვის, რომ მაქსიმალური რაოდენობით მოგაწოდოთ ის მარაგი, რომელიც თქვენ ყველაზე უფრო გჭირდებათ. უკვე ბევრი დატვირთული გემი გამოვიდა ჩვენი ნავსადგურებიდან, სხვები უახლოეს მომავალში გამოვლენ.

თქვენი და ჩვენი შეიარაღებული ძალების საჭიროებანი და მოთხოვნები შეიძლება განსაზღვრულ იქნას მხოლოდ იმ მრავალი ფაქტორის სავსებით გაცნობის თვალსაზრისით, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული იმ გადაწყვეტილებების დროს, რომლებსაც ჩვენ მივიღებთ. იმისათვის, რომ ჩვენ ყველას საშუალება გვქონდეს სწრაფად მივიღოთ გადაწყვეტილებანი ჩვენი საერთო რესურსების განაწილების საკითხზე, მოგმართავთ წინადადებით მოვემზადოთ მოსკოვში თათბირის მოსაწვევად, რომელშიაც მონაწილეობის მიღების უფლებით აღვჭურავდით მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებს, რომლებსაც შეეძლებოდათ განეხილათ ეს საკითხები უშუალოდ თქვენთან. თუ ამ თათბირის მოწვევას თქვენ მოიწონებთ, ჩვენ გვინდა გაცნობოთ, რომ, ამ თათბირის მიერ გადაწყვეტილებათა მიღებამდე, რაც შეიძლება სწრაფად განვაგრძობთ თქვენს მომარაგებასა და მასალის გამოგზავნას.

ახლა ჩვენი ყურადღება უნდა მივაქციოთ უფრო ხანგრძლივი პერიოდის პოლიტიკის განხილვას, ვინაიდან ჯერ კიდევ დიდი და ძნელი გზა უნდა განვვლოთ მანამდე, ვიდრე მიღწეული იქნება ის სრული გამარჯვება, ურომლისოდაც ჩვენი მეცადინეობა და მსხვერპლი ფუჭი იქნებოდა.

ომი ბევრ ფრონტზე სწარმოებს და მის დამთავრებამდე შეიძლება გაიშალოს სხვა საომარი მოქმედება იმ ფრონტებზე, რომლებიც კიდევ შეიქმნება. ჩვენი რესურსები თუმცა დიდია, მაგრამ მაინც განსაზღვრულია; უნდა წარმოიშვას საკითხი, თუ სად და როდის შეიძლება უფრო უკეთ იქნას გამოყენებული ეს რესურსები ჩვენი საერთო მეცადინეობისათვის რაც შეიძლება მეტი სამსახურის გაწევის მიზნით. ეს თანაბრად შეეხება როგორც მზა სამხედრო საომარ მასალებს, ისე ნედლეულსაც.

ჩვენ სავსებით გვაქვს შეგნებული, თუ რა საარსებო მნიშვნელობა აქვს ჰიტლერიზმის დასამარცხებლად საბჭოთა კავშირის მამაცურ და მედგარ წინააღმდეგობას, და ამიტომ ვგრძნობთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავუშვათ ხელიდან შესაძლებლობა სწრაფად და დაუყოვნებლივ ვიმოქმედოთ მომავლისათვის ჩვენი საერთო რესურსების განაწილების გეგმის შედგენის საკითხში“.

ამხ. სტალინმა ბ-ნ შტეინჰარდტს და ბ-ნ კრიპსს სთხოვა საბჭოთა კავშირის ხალხთა სახელით და საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადი მადლობა გადასცენ პრეზიდენტ რუზველტს და პრემიერ-მინისტრ ჩერჩილს იმისათვის, რომ ისინი მზად არიან დახმარება გაუწიონ სსრ კავშირს ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ მის მიერ წარმოებულ განმათავისუფლებელ ომში.

* * *

ამხ. სტალინმა განაცხადა, რომ იგი მიესალმება პრეზიდენტ რუზველტის და პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის წინადადებას იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქნას მოსკოვში სამი ქვეყნის წარმომადგენელთა თათბირი ნედლეულისა და საჭურვლის გასანაწილებლად.

ამხ. სტალინმა განაცხადა, რომ თავის მხრივ იგი მზად არის მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ ეს თათბირი, რაც შეიძლება მალე შესდგეს.

საუბარს დაესწრო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი.

## გაცილება

### მაყვალა მრევლიშვილი

მშვიდობით იაროს, კარგად, სულ ყოჩაღად!..
წავიდა, ჰშვენოდა სამხედრო სამოსი,
მე ერთად ნაშრომი მომანდო ოჯახი,
თვითონ კი გაჰყვება ვაჟკაცის ნამუსი.

სამშობლოს თბილსა და მშვიდ უბეს ვეფარვი, —
არ გამიძნელდება ცალ-ულლის გაწევა,
ვიშრომებ, ვიფხიზლებ, რომ მტერმა შეპარვით
ზურგი ვერ უპოვოს ჩვენს მებრძოლ არწივებს.

წინაპართ ვიხსენებ, შავი დღით დანაცადს:
კაცები, როდესაც მოსულ მტერს მუსრავდნენ,
დედაკაცს შვილები ებარა და ნაცარს
თბილად ინახავდა მეუღლის მოსვლამდე.

ეხლა ცას გავყურებ სახლკარის გუშაგი,
ვფიქრობ მეგობარზე და გულით იქა ვარ,
იქა ვარ: — გმირულ სულს, ტყვიების ხორშაკი
რომ ზრდის და აკაჟებს სახალხო იგავად.

ნეტავი, შიგ შუა ბრძოლაში მამყოფა,
დაღლილებს შევუშრო ოფლის ნაჟურები,
მხარე მეც დავიცვა ხელუხლებ მაღლობად, —
ჩემს სისხლს და სიცოცხლეს არ დავიშურებდი.

სამშობლოს მშვიდ უბეს წვრილშვილით ვეფარვი,
არ გამიძნელდება ცალ-ულლის გაწევა.
მშვიდობით იაროს და გულით მგზნებარით
მალე შეუერთდეს ჩვენს მებრძოლ არწივებს.

## პარტიზანული სიმღერები

### ვარლამ ჟურული

### 1. ბერეზინა

იდუდუნე ბერეზინავ,
სისხლით გაწითლებულო,
წყალო, დამხრჩვალ მტრების ბინავ,
მკვდრებით ადიდებულო.

შენს ტალღებში ჩამარხულან
ბონაპარტის ურდონი,
კვლავ ყუმბარით გადახნულან
ეგ ნაპირნი მყუდრონი.

ვარსკვლავს მუდამ ივარსკვლავებ,
ღამეც არ იმძინარებ
მტრისთვის ძველო მესაფლავევ,
ჩვენთვის კარგო მდინარევ.

### 2. პარტიზანი

ბალახს აჩნია სისხლის ზოლივით,
ეციმციმება ცისკარი, ცვარი,
ვაჟკაცი მოლზე წამოწოლილი
სატრფოს იგონებს კვრადამწვარი.

იწმენდს ჭრილობას ნამიან ფოთლით,
ფიქრობს ბელადზე, დიდ სამშობლოზე;
მან წუხელ ღამით ბენზინის ბოთლით
მოსპო მანქანა სოფლის ბოლოზე.
მოსპო ტანკები ვერაგი მტრისა,
დასცალა ვაზნაც უკანასკნელი.

ახსოვდა—დედა ცრემლების ღვრისას
ეტყოდა: იყავ მამულის მხსნელი.

ახსოვს სოფელი, კალო, ყანები,
წყაროზე წასვლა, ზაფხულის თქეში.
ეხლა ელიან პარტიზანები
მწვანე ნაძვებთან, ვოლინის მთებში.

წამოდგა კიდეც, ბუჩქს დაებჯინა,
ფრუტუნით შეხვდა ფეხმარდი ცხენი.
სამშობლოს გრძნობამ ტყე მისცა ბინად,
მეგობრად—თოფი, საფარად—ხენი.



წინ, ჩვენი გამარჯვებისათვის.

## სამნი

### ვ. კავერინი

სამნი იყვნენ, უბრალო საბჭოთა ადამიანები. მათზე იმის თქმა შეიძლებოდა მხოლოდ, რომ მეგობრები იყვნენ და თავიანთი საქმე იცოდნენ. თუმცა მეგობრობდნენ მხოლოდ კულიკოვი და ჩებერდა, მესამე კი, შტურმანი ჟილინი, მხოლოდ ომის წინა დღეებში გაჩნდა ესკადრილიაში.

და აი ერთ მშვენიერ დღეს ეს სამი მებრძოლი კარგ საბჭოთა ყუმბარმშენით გაემართა იქითკენ, საითკენაც ნაბრძანები ჰქონდათ. ბრძანება „ფრიადზე“ შეასრულეს — მტრის ობიექტისაგან ნამწვავები-ღა გადარჩა. დიდ სიმაღლეზე ავარდნილი თვითმფრინავი თავის ბაზისკენ გამოეშურა. საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ აი კულიკოვმა აცნობა ამხანაგებს—მარცხენა მხარეს მტრის ორი გამანადგურებელი გამოჩნდაო. ვერაფერი ამბავია: ორი გამანადგურებელი ერთი ყუმბარმშენის წინააღმდეგ! ძალები თანასწორნი არ არიან. მაგრამ ჩებერდამ გადასწყვიტა—ვაჟკაცურად დახვედროდა მტერს. „მესერშმიტები“ უკანიდან მოექცნენ ყუმბარმშენს, — არა გამოვიდა-რა. კვლავ მოექცნენ უკანიდან, — კვლავ არა გამოვიდა-რა. კულიკოვმა ოსტატურად დაუმიზნა და ტყვიამფრქვევი დაუშინა. მტრის ერთმა მანქანამ სათანადო მიიზღო: უეცრად იფეთქა და ზღვისკენ დაეშვა.

ამის შემდეგ ჩვენი მფრინავები მეორე „მესერშმიტს“ მიუბრუნდნენ, რომელიც პირველზე უფრო მოხერხებული და ავი გამოდგა. მან ჩვენ ცეცხლს ვერ გაუძლო და უკან დაიხია, მაგრამ მერე ისევ მოიტანა იერიში. შური უნდა ეძია ან იქნებ საბედისწერო განსაცდელის მოახლოვების წინათგრძნობამ გამბედაობა შეჰმატა, — ამ ხანად მან უფრო მოხერხებულად შემოუტია ჩვენს ყუმბარმშენს და მარჯვენა სიბრტყე დაუზიანა. რამდენიმე წუთის შემდეგ რადიო-სადგური შეჩერდა, ხოლო მარცხენა ძრავის მუშაობა შეფერხდა. „მესერშმიტმა“ მოახერხა უკანიდან შეტევა, და ჩვენმა მანქანამ იწყო სიმაღლის დაკარგვა. რა უნდა ექნათ?

გამოსავალი ერთი იყო — დაეშინათ ყუმბარა მტრისთვის სტაბილიზატორიდან, ე. ი. გაეხვრიტათ საკუთარი თვითმფრინავის ბოლო. ეს სახიფათო იყო. მაგრამ კულიკოვი არ დაერიდა არც ამას, და მეორე „მესერშმიტი“ ფრთისკენ გადატრიალდა, მერე ცეცხლი წაეკიდა და ზღვისკენ დაეშვა. გზა მშვიდობისა! ეხლა-კი დაბრუნებაზე უნდა ეფიქრათ.

თვითმფრინავი მთლად დაცხრილული იყო. ბოლო თითქმის აღარ შერჩა. მარჯვენა სიბრტყის მეოთხედი ჩამოეცალა.

ქვემოთ ზღვა იყო გაშლილი, ხოლო მშობლიურ ნაპირებამდე ასიოდე მილი იქნებოდა, შეიძლება მეტიც. თვითმფრინავი მართვას აღარ ემორჩილებოდა და ნელ-ნელა ეშვებოდა.

— 250 მეტრი, — აუწყა ამხანაგებს ჟილინმა.

ჩებერდამ თავი გააქნია.

— 200 მეტრი.

თვითმფრინავი მიიზლაზნებოდა.

— 170 მეტრი, 70 მეტრი, 20 მეტრი...

აშკარა იყო, რომ აღსასრული ახლოვდებოდა. ჩებერდამ ძრავი გამორთო. მანქანა მძიმედ დაეშვა წყალზე. იგი სწორეთ წუთნახევრის შემდეგ ჩაიძირა. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მფრინავებმა მოასწრეს მანქანიდან გამოსვლა და რეზინის კანჯოს გადარჩენა.

ზღვაში არიან, შორს ნაპირიდან. მომქანცველი და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ისინი არ დაიბნენ და სულით არ დაეცნენ. ჩებერდამ უბრძანა, გაეშალათ კანჯო, მაგრამ შტურმანმა აცნობა, რომ საბერი შტანგი წყალში ჩავარდა, ხოლო მოსასმელი ნიჩაბი ტალღამ წაიღო.

— პირით გაბერეთ!

ტყავის კომბინეზონებში აღარ შეიძლებოდა წყალზე გაჩერება, და მათაც მოიგდებინეს კომბინეზონები. ფეხსაცმელიც მოიშორეს. რიგ-რიგობით ჰბერავდნენ კანჯოს, დროდადრო კი ზურგზე წვებოდნენ, რომ შეესვენათ და სული მოეთქვათ.

მხოლოდ შებინდებისას მორჩნენ რეზინის კანჯოს გაბერვას. როგორც იყო, ელირსნენ კანჯოში წამოწოლას.

საითკენ უნდა გაემართნენ? შტურმანმა ვარსკვლავებზე გაარკვია მიმართულება. მაგრამ რით უნდა მოესვან, როცა ნიჩაბი არა ჰქონდათ? ერთადერთი მოსასმელი საშუალება ხელები იყო.

და აი შეუდგნენ ხელებით მოსმას. მთელ ღამეს მუშაობდნენ. ძალზე ძნელი საქმე იყო ეს, რადგან რეზინის კანჯოში საჯდომები ღრმად არის გამართული და მჯდომელა მოსმა შეუძლებელია. იძულებული იყვნენ კანჯოს ნაპირზე გადაწოლილებს ემუშავნათ. სხვა უხერხულობის გარდა, ძლივს იცავდნენ წონასწორობას. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ, თუმცა ღამე საგრძნობლად აცივდა. უსვამდნენ მშივრები და დაღლილები, ხელები ისე დაებეჟათ, რომ ვეღარც კი გრძნობდნენ — ებათ თუ არა ხელები.

ალბათ, ღამით მათ მხოლოდ სამი თუ ორი მილი განვლეს. მთვარე ზევიდან დაქათქათებდათ და ერთხანს კარგად განათებულ ზოლს მისდევდნენ,— ისე ეჩვენებოდათ, თითქოს მთვარის შუქის ზოლით უფრო მალე მიაღწევდნენ მშობლიურ ნაპირებს.

ჟილინმა დახედა ბრძოლის დროს დაშავებულ და ზღვის მლაშე წყლით ამოჭმულ თავის ხელებს და ჩაიბუტბუტა:

— გადავუხდით ჰიტლერს სამაგიეროს!

ღამე იყო და ჯერ კიდევ არ დაკარგოდათ ხუმრობის უნარი. დადგა დღე, წყნარი, ცხელი, უქარო, და მიხვდნენ, რომ ბევრი ასეთი წყნარი და უქარო დღე უდევთ წინ. საერთოდ, შეიძლებოდა ცხოვრება, რომ წყურვილს არ შეეწუხებინა ასე უზომოდ. მაგრამ უნდა ეცოცხლათ, ეცოცხლათ წყურვილის, შიმშილის და დაღლილობის მიუხედავად. უნდა ეცოცხლათ არა თუ ეცოცხლათ — უნდა ემოქმედათ კიდეც, ე. ი. გაეკვლიათ გზა მშობელ ქვეყნისაკენ.

ნაშუადღევს ქარმა დაუბერა, და ჟილინმა წინადადება შეიტანა — აემართათ იალქანი. გახიეს სიგრძეზე ერთი კომბინეზონი და იალქანივით გაშალეს. ჟილინი და ჩებერდა აქეთ-იქით ნაპირებთან დადგნენ და გაჭიმეს კომბინეზონი. ქარმა გაავსო „იალქანი“, და კანჯო უფრო სწრაფად დაიძრა.

ეს საათები — შუადღიდან მზის ჩასვლამდე — მათი საუკეთესო საათები იყო. შიმშილის გრძნობა თითქმის მთლად დაეკარგათ. ძნელი იყო მხოლოდ ფეხზე დგომა და წონასწორობის დაცვა. ისინი სცვლიდნენ ურთიერთს. ხან სხდებოდნენ, ხან დგებოდნენ. წინ მაინც მიიწევდნენ. ჟილინის ვარაუდით, მათ ოციოდე მილი უკვე ჰქონდათ გავლილი.

მაგრამ მზის ჩასვლისას ქარი ჩადგა. იმ ყოფაში, რომელსაც მფრინავები უკვე ოცდათექვსმეტ საათს განიცდიდნენ, ეს ყველაზე საშინელი წუთები იყო. ქარი ჩადგა და კანჯოც გაჩერდა. კვლავ უნდა განეგრძოთ ხელით მოსმა. გასიებული, მლაშე წყლისაგან ამოჭმული ხელები-კი თითქოს მდუღარეში ჩაჰყვესო ,ისე ეწვოდათ.

მაგრამ ძლიერმა ნებისყოფამ ყველაფერი დასძლია, ყველაფერი გადალახა. ჩებერდამ ბრძანა — ოცი წუთი ემუშავნათ, ნახევარი საათი დაესვენათ. ამას არა შეუცვლია-რა, მაგრამ მან რაღაც წესრიგი შეიტანა მათ ტანჯულ ცხოვრებაში.

როდესაც ღამე კვლავ დაჰბერა სუსტმა ქარმა, ჩებერდას იალქანი უკვე ხელში ეჭირა. კანჯო კვლავ გაუდგა გზას.

ასე დადგა მესამე ღამე. ქარი მომაგრდა, და ისინი იალქნის დაჭერაში ერთმანეთს სცვლიდნენ. ისე მოიქანცნენ, რომ იალქნის დაჭერის თავიც კი აღარ ჰქონდათ. ესეც კია, იალქანი საჭირო აღარ იყო: ქარი საკმაოდ ძლიერად უბერავდა და თავათ მიაქანებდა კანჯოს.

მალ-მალ იყურებოდნენ იქითკენ, სადაც მათ მეგობრები მიელოდნენ. მიელიან კი? ალბათ, დიდიხანია უკვე დაღუპულებად სთვლიან მათ,—ხომ სამმა დღე-ღამემ განვლო უკვე, რაც მათ ბაზა მიატოვეს.

დღემ გაიარა და ქარი, რომელსაც ერთ დროს ასე ნატრობდნენ, უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ქარი კანჯოში უკვე წყალს ასხამდა. შეიძლებოდა გადაბრუნებულიყო. უნდა შესდგომოდნენ წყლის ამოხაპვას. სწორედ ამ დროს ჩებერმა შორს თვალი მოჰკრა ვიწრო ზოლს, თითქოს ცაზე ფუნჯით ხაზი გაუვლიათო. ეს ხმელეთი უნდა ყოფილიყო. სხვა რამე რომ იყოს?

არა, ხმელეთია. მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ შორს არის. ეხლა ათ წუთს უსვამდნენ ხელით, ხოლო საათს ისვენებდნენ. მერე მხოლოდ ხუთ წუთს უსვამდნენ. კულიკოვმა წინადადება შეიტანა—ცურვით მივაღწიოთ ნაპირსაო. მაგრამ ეს აუცილებელ სიკვდილს მოასწავებდა, მეთაურმა კი უბრძანათ—ეცოცხლათ და ებრძოლათ.

მთელი ღამის განმავლობაში რაღაც 80-100 მეტრის მანძილზე იყვნენ ნაპირიდან, და სანაპირო ტალღები ხან გააქანებდნენ ნაპირისაკენ, ხან დააშორებდნენ მას. მხოლოდ გათენებისას შენიშნა კანჯო თავის ბაზისკენ მიმავალმა ჩვენმა მზვერავმა. იმავე დროს ნაპირიდან სხვებმაც დაინახეს და მოემზადნენ დასახმარებლად. მაგრამ მზვერავმა დაასწრო ყველას, და რამდენიმე წუთის შემდეგ სამივე მფრინავი აეროპლანის ბაქანზე იყო. ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ისინი კვლავ გაფრინდნენ ახალი ბრძანების შესასრულებლად. და ეს ბრძანებაც „ფრიადზე“ შეასრულეს.

რამ გადაარჩინა ისინი? სად არის წყარო ამ უდრეკ სიმტკიცისა, ამ უებარი ვაჟკაცობისა? ეს წყარო არის საბჭოთა კავშირის ხალხის ქედმოუხრელი ძალა — იმ მამაცი, ჭკვიანი, შეუპოვარი ,მოსწრებული ხალხის ძალა, რომელიც უეჭველად და უსათუოდ გაიმარჯვებს.

# ჰიტლერის ქუსლქვეშ

## ფაშისტური ხელოვნება პარიზის დაპყრობას ლამობს

ამ ცოტა ხნის წინათ პარიზიდან მოსკოვს ჩასული ცნობილი ფრანგი მწერალი ჟან-რიშარ ბლოკი სწერს: „გერმანელი ოკუპანტები ცდილობენ პარიზის თეატრულ ცხოვრებას გაცხოველებული იერი მისცენ. მაგრამ ამაოდ! წარმოდგენებს თითქმის არავინ ესწრება. წარმატებით სარგებლობენ მხოლოდ მიუსიკ-ხოლები, სადაც გამოდიან შიშველი როსკიპი ქალები და სადაც მაყურებელთა დარბაზი მუდამ სავსეა მთვრალი ფაშისტი ოფიცრებით.

ფაშისტი კინო-ფაბრიკანტები ცდილობენ ისარგებლონ კონიუნქტურით იმისათვის, რომ დაიპყრონ საფრანგეთის ბაზარი და გააძეონ ამერიკული ფილმები. გარდა ორიოდე დოკუმენტალური ფილმისა, რომელიც განირჩევა ვულგარული მეცნიერულობით, ნაცისტურ ფილმებს არავითარი გასავალი არა აქვს. ფრანგ საზოგადოებას ისინი მეტად მძიმე, მოსაწყენ, გულუბრყვილო და ტექნიკურად ჩამორჩენილ ფილმებად მიაჩნია. მართლაც, ადამიანს ანცვიფრებს გერმანული კინო-პროდუქციის სრული უბადრუკობა. კინო-ქრონიკის „მიმდინარე ამბების" ჩვენებას ხშირად თან სდევს მაყურებელთა ანტიფაშისტური მანიფესტაცია. ამის საპასუხოდ ფაშისტები ხურავენ კინო-თეატრებს. ასეთი რეპრესიების თავიდან ასაცილებლად, კინო-თეატრების დირექტორები ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავენ, არ მოხდეს მაყურებელთა ანტიფაშისტური გამოსვლა. ქრონიკის ჩვენების დროს დარბაზში ანთებენ ელექტრონს და პოლიციელი ან კინოს მოსამსახურე თვალყურს ადევნებს საზოგადოებას— არა სასურველი დემონსტრაციის ნიშანს ხომ არ ამჟღავნებენო. საკმაოა მაყურებლებმა ერთი მეორეს ორიოდე სიტყვით გადაულაპარაკონ, რომ დაუყოვნებლივ მათ წინ გაჩნდეს შეშფოთებული მეთვალყურე. რაკი შეუძლებელი გახდა, მაყურებელმა აშკარად გამოსთქვას თავისი გულისწყრომა ან აღშფოთება ყვირილით, სიცილით ან სტვენით, იგი გასული ზამთრის სასტიკ სიცივეს იყენებდა საბაბად, რომ გაუთბობელ დარბაზში კინო-ქრონიკის დემონსტრაციის დროს გაუთავებელი ხველა აეტეხა. ერთხელ პოლიციელმა ასეთი მოწოდებით მიმართა საზოგადოებას, რომელიც ხველებისაგან განზრახ თავს ვერ იკავებდა: ბატონებო, ნუ ახველებთ ასე მწარედ, მოიქეცით ისე, როგორც მე—თავი შეიკავეთო. ამ შენიშვნამ საზოგადოება მხიარულ გუნებაზე დააყენა და მან პოლიციელი ირონიული ტაშით დააჯილდოვა.

იმისათვის, რომ მოაგვარონ ახალი ფრანგული კინო-ფილმების გამოშვება, გერმანელი ფაშისტები ცდილობენ საფრანგეთის ოკუპირებულ ზონაში დააბრუნონ რაც შეიძლება მეტი კინო-ფაბრიკანტები, კინო-დრამატურგები და რეჟისორები. მათ სურთ სრული კონტროლი გაუწიონ ფრანგულ კინო-ფილმებს როგორც პოლიტიკურად, ისე კომერციულად. შედეგი ერთია: ის, რაც ჩნდება ეკრანზე ახალი ფრანგული ფილმების სახით, მეტის-მეტად უმწეო და უბადრუკია.

ხელოვნებაში, როგორც ყველაფერ სხვაში, ფაშიზმი ჰკლავს ყოველივეს, რასაც კი მისი ხელი შეეხება".

## ჩეხური მუსიკა ფაშიზმის მუხრუჭებში

ამჟამად მოსკოვში მყოფი ჩეხი მსახიობი-ქალი სტეფა პეტროვა გადმოგვცემს:

„მე წილადა მხვდა მენახა, თუ როგორ გლეჯენ ნაწილ-ნაწილად ჰიტლერის დაძაღლები ჩემს სამშობლოს.

ჩეხიის ყბადაღებულმა „პროტექტორმა" ფონ-ნეირატმა, რომელმაც სწრაფად მოიპოვა ჩეხი ხალხის ერთსულოვანი სიძულვილი, ჩეხური ხელოვნების მიმართ თავისი მზრუნველობა დაიწყო იმით, რომ აკრძალა ცნობილი ჩეხი კომპოზიტორის სმეტანას ორი დიდად სახელმოხვეჭილი ოპერა „ლიბუშე" და „პრუსიელები ჩეხიაში". სავსებით გასაგებია, თუ რატომ არ მოეწონა ეს ორი შესანიშნავი ნაწარმოები ჰიტლერის სატრაპს: მკაფიოდ გამოხატული პატრიოტული გრძნობა, რომელსაც ეს ოპერები აღვივებენ მაყურებელში და რომელიც მეტად ცხოველ გამოხმაურებას პოულობს პრაგის საზოგადოებაში, ყოველი წარმოდგენის დროს იწვევდა საპროტესტო დემონსტრაციას ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ერთ საღამოს პრაგის ეროვნულ თეატრში მიდიოდა დვორჟაკის ოპერა „იაკობინელი". ამ ოპერის მომქმედ პირთა რიცხვში არის მატყუარა, კარიერისტი პერსონაჟი, სახელად ადოლფი. ამ ადოლფის შესახებ ოპერაში ასე მღერიან:

„იქ, სადაც ხდება ძალმომრეობა,
იქ ყველგან შენ ხარ, შენ, ჩემო ადოლფ!"

ჩეხიაში ფაშისტი ოკუპანტების შესვლის შემდეგ ოპერა „იაკობინელის" პირველსავე წარმოდგენაზე, როგორც კი არტისტმა ეს სიტყვები წარმოსთქვა, მთელ დარბაზში მქუხარე ტაშმა დაიგრიალა. ხაოკუპაციო ხელისუფლება ამ ფაქტმა შეაშფოთა და შეაშინა, და ნეირატმაც უბრძანა თავის ხელქვეითებს—ამოეგდოთ ეს ეპიზოდი ოპერის პარტიტურიდან, ხოლო თვით ადოლფ მოენათლათ... რუდოლფად.

ყოველ დღე მცირდება იმ ნაწარმოებთა რიცხვი, რომელთა შესრულებაც ჩეხ არტისტებს შეუძლიათ. აკრძალულია ჩეხი და სლოვაკი მწერლების ნაწარმოებთა დიდი ნაწილი, აკრძალულია მთელი რუსული კლასიკური ლიტერატურა. გამძვინვარებული ფაშისტური ცენზურა არ ინდობს არაფერს, რასაც კი ნიჭისა და ჭეშმარიტი ხელოვნების დაღი აზის.

# თავდაცვის სახალხო ფონდში

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრები და თანამშრომლები განაგრძობენ თავიანთი წვლილის შეტანას თავდაცვის სახალხო ფონდში.

ლეო ქიაჩელმა შეიტანა ნაღდად 3000 მან., ანა ხახუტაშვილმა 500 მანეთის ობლიგაციები, ელიზბარ პოლუმორდვინოვმა — 300 მან. ობლიგაციები და სამი დღის ხელფასი, — რ. ქორქიამ — ყოველი ნაწარმოებას ჰონორარის 5 % და 200 მან. ობლიგაციები, ირ. ქავჟარაძემ — 400 მანეთის ობლიგაციები; დ. შერმანმა —300 მანეთის ობლიგაციები. საქ. მწერალთა კავშირის თანამშრომლებმა — შ. შუბლაძემ — 200 მან. ობლიგაციები თამარ ხურციამ — 225 მან. ობლიგაციები.

მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ თავდაცვის ფონდის შექმნაში აფხაზი მწერლები. აფხაზეთის სახალხო პოეტმა დ. გულიამ ფონდში შეიტანა — ვერცხლის პორტსიგარი, 3000 მან. ობლიგაციები და ერთი დღის ხელფასი ყოველთვიურად ომის დამთავრებამდე, პოეტმა ს. სანგულიამ — 600 მანეთის ობლიგაციები და ერთი დღის ხელფასი, მ. დელბამ — 1000 მანეთი ნაღდად, 5805 მანეთის ობლიგაციები და ყოველთვიურად ორი დღის ხელფასი ომის დამთავრებამდე, გ. გულიამ ერთი დღის ხელფასი და 1500 მანეთის ობლიგაციები, გ. გაბუნიამ — ერთი დღის ხელფასი და 600 მანეთის ობლიგაციები, ხ. ბლაჟბამ — 400 მან. ობლიგაციები.

# ახალი ანტიფაშისტური კინო-ფილმები

## „სიკვდილი სვავებს"

სამულტიპლიკაციო ფილმების სტუდიამ დაამთავრა ახალი კინო-პლაკატი „სიკვდილი სვავებს", რომელიც გვიჩვენებს საბჭოთა თვითმფრინავების თავგანწირულებას.

მისი შინაარსი ასეთია: მომწიფებული ქერის ყანიდან აფრინდა გაბედულ შევარდენთა გუნდი. ისმის მოტორების ხმაური. შესაგებებლად მოფრინავენ ფაშისტი სვავები. აგერ, უკვე ქვევით, მიწაზე ეშვება ალში გახვეული ფაშისტური ყუმბარმშენი. საბჭოთა გამანადგურებელი ტყვიამფრქვევს უშენს მეორე ფაშისტურ ყუმბარმშენს, რომელიც აგრეთვე ქვასავით ვარდება მიწაზე. იმართება გააფთრებული ბრძოლა ჩვენს გამანადგურებელსა და სვასტიკიან ყუმბარმშენს შორის. მალე ფაშისტური სვავის უბადრუკი დამწვარი ჩონჩხი მიწაზე გდია.

## „მარჯვენა ხელი"

სამულტიპლიკაციო ფილმების სტუდიამ დაამთავრა ახალი ფილმი „მარჯვენა ხელი", [illegible]

რეჟისორმა ა. რომმა მოსკოვის [illegible]



ზვერავენ მტრის პოზიციებს — ფოტო

# საბჭოთა ხელოვნება სამამულო ომის სამსახურში

## 500 კონცერტი წითელი არმიის ნაწილებში

[illegible] ბრიგადებმა მოაწყეს 70 კონცერტი.

სულ ომის დაწყებიდან დღემდე ბრიგადების მიერ მოწყობილ იქნა 500 კონცერტზე მეტი.

აქტიურ მონაწილეობას იღებენ თბილისის თეატრები მთლიანი მიზნობრივი წარმოდგენების ჩვენებაშიც. წითელი არმიის მებრძოლთათვის თბილისის ოპერამ გამართა 9 სპეციალური წარმოდგენა: „კარმენი", „ჩიო-ჩიო-სანი", „ევგენი ონეგინი", „ქეთო და კოტე" და სხვ. გრიბოედოვის თეატრმა დასდგა 6 წარმოდგენა, რუსთაველის თეატრმა აჩვენა „ლალატი", მარჯანიშვილისამ — „მკაცრი ქალიშვილები".

[illegible] ბადროვი, ვრუბლევსკაია და ბარიგინი; მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები — შ. გომელაური და ვ. გოძიაშვილი; კონსერვატორიის სტუდენტები — ნ. ჩიქოვანი და რ. ჩხეიძე; სომხური თეატრის მსახიობი — ფირუმიანი; ქართული მოზარდმაყურებელთა თეატრის სიმებიანი ორკესტრი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მსახიობთა ბრიგადების რეპერტუარი თითქმის მთლიანად ახალია ან გადახალისებული და მასში საპატიო და დიდი ადგილი უჭირავს საქართველოს კომპოზიტორთა ახალ ნაწარმოებებს.

# ახალი პატრიოტული სიმღერები

საქართველოს ხელოვნების სამმართველოს განკარგულებით, სახელგამს დასაბეჭდად გადაეცა საქართველოს კომპოზიტორების მიერ ბოლო დროს დაწერილი პატრიოტული, საბრძოლო და ანტიფაშისტური სიმღერები.

კომპოზიტორთა კავშირის მიერ მიღებულ და მოწონებულ 50 სიმღერიდან, რომლებსაც დიდი წარმატებით უკვე ასრულებენ მსახიობთა ბრიგადები, წითელი არმიის ნაწილები, გუნდები, ესტრადისა და ფილარმონიის მსახიობები და სხვანი, ჯერჯერობით დაიბეჭდება 24 სიმღერა.

დასაბეჭდად გადაცემულია: ორდენოსან კომპოზიტორების არაყიშვილის „სამშობლო და გამარჯვება" (ტექსტი ი. გრიშაშვილისა), აზმაიფარაშვილის „საბრძოლო" (ტექსტი ლებედევ-კუმაჩისა), ანდრიაშვილის „ჰიმნი" (ტექსტი ნ. ტატიშვილისა), ი. ტუსკიას „სამშობლო გვეძახის" (ტექსტი ი. მოსაშვილისა), ბალანჩივაძის „ხალხნო აღსდექით" (ტექსტი ბ. სერებრიაკოვისა), გოკიელის „ლაშქრული" (ტექსტი გ. ტაბიძისა), სტალინური პრემიის ლაურეატის კილაძის „სტალინისათვის, სამშობლოსათვის" (ტექსტი პროკოფიევისა), პროფ. კ. მეღვინეთ-უხუცესის „აღსდგეთ—წავიდეთ" (ტექსტი მთვარაძისა), გ. ჩხიკვაძის—„წითელი ლაშქრული" (ტექსტი ი. აბაშიძისა), შავერზაშვილის „წვევამდელს" (ტექსტი ჩხაიძისა) და სხვ.

# ახალი ოპერა „ქართლის დედა"

კომპოზიტორმა ა. მაჭავარიანმა ი. ჭავჭავაძის „ქართლის დედას" მიხედვით დასწერა ერთ-მოქმედებიანი პატრიოტული ოპერა „ქართლის დედა". ოპერას ამ დღეებში განიხილავენ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი და ხელოვნების სამმართველო.

# უკანასკნელი გასროლა

## ალ. ჭეიშვილი

ამომშრალი ღელის პირას აზრდილ, ცეცხლით შეტრუსულ ტირიფის ქვეშ ვლადისლავ ჩაპეკი ტყვიამფრქვევის სახელურებს ჩასჭიდებია.

მარჯვნივ და მარცხნივ აბრუნებს ტყვიამფრქვევის ლულას. ტყვიამფრქვევი კი სდუმს. ტყვიების არშია მოღრეცილადაა გაჩრილი საკეტში.

გაოგნებული გასცქერის ვლადისლავი წინ გაშლილ უნაპირო ველს. განა ველია ეს ცეცხლით გადაბუგული ტრამალი? გუშინ აქ, ალბათ, შემოსული პურის ყანა იდგა, მომკალის ნამგლის მომლოდინე. ახლა ცეცხლის ენებს აულოკავს სიცოცხლის ყოველივე ნიშანწყალი. ვლადისლავს თითქოს ახლაც ცხვირში სცემს დამწვარი პურის სუნი.

უდაბური და უკაცრიელი მოსჩანს ამომშრალი ღელის კალაპოტი და გადარუჯული ბუჩქნარი. ტყვიამფრქვევლს გატრუსული ტირიფის ტოტები დაუხვევია თავზე შესანიღბად. მალ-მალ კონტუზირებულივით აიქნევს თავს. ჯაჭვის უხამსი ჩხარუნი ჩაესმის. გაშმაგებული გაიქნევს მარცხენა ხელს. მაჯაში საშინელ ტკივილს გრძნობს.

მიჯაჭულია, პირუტყვივით მიჯაჭულია სლოვაკელი ჯარისკაცი ტყვიამფრქვევის ტანზე!

ზეზე წამოიწევს, კისერს უკან მიიღრეცს და რაღაცას ყურს დაუგდებს. მოწინააღმდეგის მოთვალთვალე ადვილად დაიჭერს მის მოძრაობას.

— რა ღმერთი გიწყრება! — გაისმის ეფრეიტორის კბილებში გაცრილი სისინი.

მაგრამ ვლადისლავის ცნობიერებამდე არ აღწევს ეფრეიტორის ძახილი და ის ისევ კისერმოღრეცილი დგას. მაჯლაჯუნასავით აწევს თავზე დილანდელ ბრძოლის მოგონება. როცა დაიღუპა მისი სიყრმის მეგობარი ვანეკ შება. ვლადისლავი კი პირუტყვივით ტყვიამფრქვევზე მიჯაჭვეს. არა, ვანეკი ბრძოლის შემდეგ დაიღუპა, ასე უღვთოდ, „თავისიანის" ხელით.

— ძაღლთა პირები, სისხლის მსმელები! — ამოაყოლებს მძიმე ამოსუნთქვას ვლადისლავი და ისევ ამ დილანდელ ბრძოლის მოგონებაში ჩაიძირება.

გათენებისას ორი ასეული გადავიდა შეტევაზე. რუსებმა ახლოს მიუშვეს ისინი და მერე გრიგალისებური სროლა აუტეხეს. ორი ასეულიდან ჩვიდმეტი კაცი დაბრუნდა უკან. მინდორი დაიფარა დაჭრილ-დახოცილებით. ვანეკს ყუმბარის ნამსხვრევმა თეძოს ძვალი დაულეწა.

რა შორს გამობობღდა მძიმედ დაჭრილი! ვლადისლავლი წამოეწია. ოფლში გაწურული მარტო მოათრევდა მძიმე ტყვიამფრქვევს. შეჰხარა ვლადისლავლი ვანეკის ნახვამ. მიბობღავდა სისხლისაგან დაცლილი, თვალებჩაცვივნული ჯარისკაცი დაჭრილთა საევაკუაციო პუნქტისაკენ. უცხო რამ ნივთივით ხელით მიათრევდა თეძოში მოწყვეტილ ფეხს, რომელსაც კუნთების ნაძენძი-ღა ამაგრებდა. ვლადისლავლს თითონაც გული ამოვარდნაზე ჰქონდა. თვალწინ წითელი წრეები უტრიალებდნენ დაღლილობისაგან, მაინც ტყვიამფრქვევთან ერთად დაჭრილი ამხანაგიც აიკიდა ზურგზე. ორი კილომეტრის მანძილზე მიათრევდა ცეცხლის ხაზიდან. და სწორედ იმ წუთს, როცა მძიმე ტვირთქვეშ მუხლები მოეკვეთა, სანიტრები წამოადგნენ თავზე. ვლადისლავმა ვანეკი საკაცეზე დასდო და თითონაც იქვე ჩაიკეცა უგრძნობლად. მოტოციკლეტის თუხთუხი ჩაესმა ბუნარში წასულს.

— სამხედრო სამსახურისათვის გამოუსადეგარია,—დაბუღერილის ხმით თითქოს ვიღაცამ დაიყეფაო მის თავზე და ჯერ ვანეკის ნახევრად მოგლეჯილი ფეხი ჩამოვარდა საკაციდან, შემდეგ კი მძიმედ დაჭრილიც დაეცა ვლადისლავლის გვერდით.

გონს მოსული ვლადისლავლი წამოიმართა, ვანეკი კი ჩექმაში სწვდა დამცველ რაზმელთა ოფიცერს, რომელმაც ის საკაციდან გადმოაგდო. ცალ მუხლზე წამოიმართა, თითქოს დაიჩოქაო, და სასოწარკვეთილად შეჰბღავლა.

ოფიცრის კბენია ცხენივით დაკლირსულ, დაჯორჯილ სახეზე, მის მკვდარ, შუშისფერ თვალებში სიბრალულის ნასახიც-კი არ გამოსახულა.

კნურემ ფეხი გაიქნია. დალურსმული ჩექმის ცხვირი სახეში მოხვდა დაჭრილს.

— ბატონო კაპიტანო,—გაიწია გულამღვრეულმა ვლადისლავლმა.

— ტყვიამფრქვევი ახალი ცეცხლის ზღუდეზე! — რისხვით მიახალა ოფიცერმა.

როგორც კი ვლადისლავლმა ამომშრალი ღელის პირას მიაგორა ტყვიამფრქვევი, გაისმა ყრუ გასროლა და ვანეკის გულშემზარავი გმინვა.

— ძაღლთა პირები! — და ცოფმორეული ვლადისლავლი ზეზე წამოიჭრა. მაგრამ ამ დროს ზურგს უკან მოტოციკლის ხმაური შემოესმა და კეფაში რაღაც მძიმედ მოხვდა. ეს კნურეს კოლტის კონდახი იყო. როცა თვალი გაახილა და ზეზე წამოწევა სცადა, ჩხარუნი შემოესმა და იგრძნო, რომ რაღაც მარწუხივით შემოსჭიდოდა მარცხენა ხელის მაჯაზე. შუბლზე ცივი ოფლი დაასხა.

— ტყვიამფრქვევზე მიჯაჭვეს, გასწირეს.

თავი მაღლა ასწია. კნურეს მკვდარი, ტყვიასავით მძიმე მზერა შეხვდა.

— აბა ყოჩაღად! შეუნელებელი ცეცხლი! — კნურემ გესლიანად გადახედა ტყვიამფრქვევზე მიჯაჭულ ვლადისლავლს. და მყისვე მიაბრუნა მოტოციკლი.

ვლადისლავლმა ტყვიამფრქვევზე მიჯაჭულ მაჯაზე დაიხედა და ახლა მოაგონდა, ომის გამოცხადების დღეს რომ გაჰყვიროდნენ ფაშისტი ორატორები, გერმანელები და სლოვაკები ურყევად ვართ ერთმანეთთან გადაჯაჭულიო. რა მწარე დაცინვად ისმოდა ეხლა ეს სიტყვები. მართლა, რა უბედურად ყოფილან გადაჯაჭულნი!

— ძაღლთა პირები! — თითქოს ამ დილით პირველად იგრძნო ვლადისლავლმა, რომ ამ ცოფიან ძაღლების ხელშია ჩავარდნილი. რა უღვთოდ გასწირეს ვანეკი! მის ოჯახს, ალბათ, შავი არშიით მოვლებული სამძიმრის წიგნი მიუვა: „გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზე"-ო.

— ავთრები, სისხლისმსმელები, — უსასო ბრაზისგან ილრჩვება ვლადისლავლი.

ახლა გაოგნებული რომ გასცქერის ცეცხლით გადაბუგულ ტრამალს, დილანდელი ყრუ გასროლა და ვანეკის გმინვა ჩაესმის. ნუ თუ მაშინვე ამოხდა სული? იქნებ კიდევ სუნთქავს? როგორ უნდა უშველოს ტყვიამფრქვევზე მიჯაჭულმა?

ისევ ჩაიქროლა მის წინ კნურეს შავად მოალულმა მოტოციკლმა. სადღაც ისევ გაისმა მისი ძახილი, ხმადაბუღერილ ნაგაზის ყეფას რომ ჰგავს. ატყდა მოტოციკლების თუხთუხი, ავარდა ყომრალი მტვერი ცეცხლით გადაბუგულ მინდორზე. ეს მცველი რაზმების ათასეული საიერიშოდ ემზადება. რა ზარით და ზათქით მოსწყდნენ ადგილიდან! შლეგიანებივით დააქროლებენ მოტოციკლებს. არყიან მათარებს ხშირ-ხშირად მიიდებენ პირზე. მშრალი ტახტახით, რწევითა და ყვინთვით მოსრიალებენ ტანკები გადარუჯულ ნაპურალში.

სამხეციდან გამოვარდნილი ნადირების ღმუილს უფრო ჰგავს ეს ხმაური, ვიდრე ადამიანების ყელიდან ამოსულ ხმებს. მანქანების ხმაურს ერთვის სირენების ყურთასმენის წამღები წივილი, ტყვიამფრქვევების და ავტომატების ჭახჭახი.

ვლადისლავლს ისევ ჩაუქროლა გვერდით კნურეს მოტოციკლმა, თითქოს რისხვით გადახედა ტყვიამფრქვეველს მოიერიშეთა რაზმის ოფიცერმა.

— მკვლელი, ბანდიტი! — გააყოლა ვლადისლავლმა.

მალე მთელი კოლონა ყომრალ ბუღში გაეხვია.

საკომანდო კოშკიდან გაისმა:

— მოტოციკლისტების თავების ზევიდან ცეცხლი!

მაგრამ ვლადისლავლის ტყვიამფრქვევი სდუმს. მოთვალთვალის მოსატყუებლად ერთ-ორ ტყვიას გაუშვებს მოიერიშეთა რაზმის თავზე ამდგარ ყომრალ მტვერის ღრუბელში და ისევ დაიხრება ტყვიამფრქვევზე. საკეტს ჩაჰკირკიტებს, თითქოს ტყვიამფრქვევი რაღამაც შეაფერხაო.

ნაღმტყორცნების, ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების ცეცხლი ერთპირი გუგუნივით გამოისმის. იმ მხრიდან კი ჩამი-ჩუმიც არ ისმის.

„იმ მხარეს" ვლადისლავლი მტრის კედაროს ეძახდა წინად. ახლა რატომღაც გული არ უშვებს, რომ მათ მტრები უწოდოს. მოტოციკლეტებით და ტანკებით აღენილი ბოლი უფრო და უფრო უახლოვდება წითლების ზღუდეს. ვლადისლავლი ღელავს. მაგრამ აი დაიგრიალეს საბჭოთა ბატარეებმა. ალაპარაკდნენ ტყვიამფრქვევები. მცველი რაზმების კოლონის შუაგულში გამსკდარ ყუმბარებს დედამიწის გული ამოაქვთ. ფაშისტების ავანტიურამ არც ახლა გასჭრა. და ეს ცად ასული მტვრის ღრუბლები, რუსების პოზიციისკენ რომ მიექანებოდნენ, უკან დაიძრნენ. ფაშისტების კოლონამ პირი იბრუნა. მოტოციკლისტები ყველაზე წინ გარბიან. აი უკვე მოუახლოვდნენ ამომშრალი ღელის ნაპირს. მოტოციკლეტებზე მიბმულ ეტლებიდან გადმოკიდებული დაჭრილ-დახოცილები მიწაზე მიეთრევიან. მანქანებიდან ყირა-ყირა მოცვივიან ხელის ტყვიამფრქვევები და ავტომატები. კნურემ თავი დაუარა მოტოციკლისტების კოლონას, გაცოფებულივით ყვირის, რომ ღელის პირას გამაგრდნენ. ამაო ცდაა. წითლების (ახლა მათ ვლადისლავლი „ჩვენებს" ეძახის) არტილერიის მიერ დანთებული ცეცხლის ზვირთი კვალ-და-კვალ მოსდევს გამოქცეულებს. იმ მხრიდან უკვე მოისმის წითელი არმიის ტანკების გრუხუნი. სიხარულის ჟრჟოლამ აიტანა ვლადისლავლი.

— მაგრე დასცხეთ, მაგ ძაღლთა პირებს! მაგრე დასცხეთ! — ეს ვანეკის და მილიონ მისთანების ღაღადისია.

დამფრთხალი თხის ჯოგივით გარბიან დამცველი რაზმის წევრები.

მათ უკან უკვე მოისმის მძლავრი „ურა" იერიშზე გადასულ წითელარმიელებისა.

ყუმბარები სულ ახლოს და ახლოს სკდებიან. რუსული ტანკები უკვე შეიჭრნენ ფაშისტური ტანკების მწყობრში. სახე-გადაღრეცილი კნურე გაცოფებული დააგელვებს მოტოციკლისტების არეულ მწყობრში თავის შავად მოალულ მანქანას.

— შესდექით! შესდექით! — გაისმის მისი ძახილი.

მაგრამ მოტოციკლები უკვე გასცდნენ ამომშრალი ღელის ზღუდეს. მხოლოდ ნაწილი შემაგრდა, შესდგა ვლადისლავლის უკან მდებარე სანგრებში. და იქიდან გააჩაღეს უწესრიგო ცეცხლი. ესენი კნურეს ამოწვდილმა რევოლვერმა შეაჩერა. ახლა ის ვლადისლავლის ცეცხლის წერტისკენ მიჰქრის.

წითლები კი მოკლე გადარბენებით უახლოვდებიან ამომშრალი ღელის ზღუდეს. ვლადისლავლი აღარ ისვრის. ერთ ადგილას ვეღარ დამდგარა. სიხარულმა აიტანა.

უკვე ახლოს ისმის წითლების გამარჯვების ყიჟინა. ვლადისლავლს რატომღაც ჰგონია, რომ ეს მისი მკერდიდან ამომსკდარი საზეიმო ყიჟინაა. თითქოს ისინი იმისთვის მოიწევენ აქეთკენ, რომ გაანთავისუფლონ ვლადისლავლ ჩაპეკი.

ვანეკი! ისევ დაუდგა თვალწინ დილანდელი კოშმარი. საოცარია, თითქოს იმ ბუჩქიდან, სადაც ვანეკს კნურემ რევოლვერი დაახალა, ისევ მოისმა გმინვა.

იქნებ ცოცხალიაო, — მჭვალივით გაჰკრა გულში. ამ ფიქრმა თავდაცვის გრძნობა დაუხშო და ზეზე წამოიმართა.

გაცოფებული დაჰქრის კნურეს მანქანა რუსების ცეცხლით წამოყრილ მცველ რაზმელებს შორის. ის ახალი თავდაცვის ზღუდეს აწყობს.

წითლების „ურა" და საზეიმო ყიჟინა ახლო და ახლო მოიწევს. აი მის თავზე გაიზუზუნეს ყუმბარებმა. ფაშისტი მებრძოლები წამოჰყარეს.

ვლადისლავლის ტყვიამფრქვევი კი სდუმს.

— ცეცხლი! — უყვირის ცოფმორეული კნურე. ვლადისლავლი არ იძვრის.

კნურემ შემართული კოლტით მისკენ გააქანა მოტოციკლი.

ვლადისლავლმა კნურეს თვალის მოსატყუებლად სროლა ასტეხა. ჰაერში გაისროლა რამდენიმე წყება და უცებ შეაბრუნა ტყვიამფრქვევი. კნურეს მკლავზე მიკერებულ სვასტიკას უსწორა სანიშნე და ერთ წუთში ფიცარივით წელში გადახერხა დამცველთა რაზმის ოფიცერი. გაქანებული მოტოციკლი კუნძს დაეჯახა და ყირამალა გადავიდა. ვლადისლავლმა ცეცხლი იმ ზღუდეზე გადაიტანა, საიდანაც კიდევ ისროდა რამდენიმე ფაშისტი.

და როცა მოწინავე წითელარმიელები ამომშრალი ღელის ზღუდეში შეიჭრნენ, ვლადისლავლმა ტყვედ ჩავარდნილის ნიშნით კი არა,—როტფრონტულად შემართა ჯაჭვისაგან თავისუფალი მარჯვენა ხელი. წითელარმიელებმა მყის მარცხენაც გაუნთავისუფლეს. ვლადისლავს კვლავ მოესმა გმინვა და მომხმობი ძახილი იმ ადგილიდან, სადაც კნურეს ტყვიით განგმირული ვანეკი დაეცა. იქითკენ გაექანა და წითელარმიელებიც გაიყოლია. ვანეკი ისევ სუნთქავდა. მალე წინა ხაზზე რუსი სანიტრები და მოწყალების დები გამოჩნდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ვლადისლავლი და ვანეკი საბჭოთა ლაზარეთში იწვნენ და გერმანულ ჯარში მოხვედრილ სლავებისადმი მიმართვას სწერდნენ.

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი, შ. რადიანი, ვ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახახლე) ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 35536